

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში

საკრებულოს წევრის სახელი, გვარი - კახაბერ ჯოლოხავა

თანამდებობის დასახელება- საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-კონსერვატორები“-ს თავმჯდომარის მოადგილე

კომისიის(კომისიების) დასახელება-

- 1.საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისია;
2. საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისია.

ფრაქციის დასახელება \_ „ქართული ოცნება-კონსერვატორები“.

არჩევის წესი (მაჟორიტარული ოლქის მითითებით)- მაჟორიტარული (68.06 მიქავას მაჟორიტარული ოლქი).

საანგარიშო პერიოდი - 2019 წლის 01 ნოემბრიდან 2020 წლის 01 ნოემბრამდე.  
ანგარიშის ტიპი (რიგითი, რიგგარეშე) - რიგითი.

I. საანგარიშო პერიოდში განხორციელებული საქმიანობა:

1.სულ საკრებულოს სხდომის რაოდენობა - 21  
საკრებულოს სხდომებზე დასწრება - 5

2. სულ კომისიის სხდომების რაოდენობა - 24  
კომისიის სხდომებზე დასწრება - 18

3. სულ ფრაქციის სხდომების რაოდენობა - 8  
ფრაქციის სხდომებზე დასწრება - 8

4. საკრებულოს წევრების მიერ მხარდაჭერილი მნიშვნელოვანი საკითხები:

-„წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 დეკემბრის N43 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

-წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის შეზღუდვიდან გამონაკლისის დაშვებაზე საკრებულოს თავმჯდომარისათვის თანხმობის მიცემის შესახებ;

-წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის შესახებ;

-კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვადასხვა საკითხებზე მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე.;

- „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან წალენჯიხის მუნიციპალიტეტში 2019-2021 წლებში დასაფინანსებელი საპროექტო წინადადებების თაობაზე“ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ;
- მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობაში აუქციონის ფორმით - (იჯარით) გაცემაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ;
- წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ;
- წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ;
- წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის თაობაზე;
- „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში დასაფინანსებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში 28 თებერვლის N6 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ;
- მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზებო ობიექტებისა და პრივატიზების გეგმის დამტკიცების შესახებ;
- საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობაში პირდაპირი განკარგვის წესით - იჯარით გაცემაზე მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ;
- წალენჯიხის მუნიციპალიტეტში სახელმწიფო და წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არა სასოფლო/სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ;
- საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი საპროექტო წინადადების თაობაზე;
- წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერიაში დამხმარე ამოცანების შესასრულებლად შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის შეზღუდვიდან გამონაკლისის დამუშავებაზე წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ;
- სხვა მიმდინარე საკითხები.

5. ის საკითხები, რომლებსაც საკრებულოს წევრმა მხარი არ დაუჭირა: -

6. მოქალაქეებთან შეხვედრების რაოდენობა 13 და შეხვედრებზე მონაწილე მოქალაქეთა რაოდენობა 175.

7. მოქალაქეებთან შეხვედრისას გამოთქმული ძირითადი საკითხები:

გარე განათების მოწყობა, ლეჯოლოხეს უბანში სასმელი წყლით მომარაგება, შიდა გზების მოხრეშვა, ლეჯოლოხე-მუხურის მიმართულებით 4კმ-იანი გზის მონაკვეთის სრული რეაბილიტაცია, ნაპირსამაგრი გაბიონების მოწყობა, გაზიფიცირება, სოციალური პრობლემები.

8. მოქალაქეთა პრობლემებზე საკრებულოს წევრის რეაგირების ფორმები (მათ შორის, დადებითად გადაწყვეტილი კონკრეტული საკითხები

- ლედვინჯილეს ონახუეს უბანში ხიდ-ბოგორის მშენებლობა;
- ნაპირსამაგრი გაბიონის მოწყობა.

II. საკრებულოს წევრის მიერ საანგარიშო პერიოდში განხორციელებული სხვა საქმიანობა  
აქტიურად ვარ ჩართული საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და  
ინფრასტრუქტურის და საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიების მუშაობაში.

შევსების თარიღი-26.10.2020 წ.

წარდგენის თარიღი \_26.10.2020 წ.

ხელმოწერა-

